# გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 78 (3055)

21

1966 წ. აპრილი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


**ხვალ მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 96 წლისთავს**

V პარტია

## მწვავე ბრძოლაში




მოსკოვი, 20 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). პეტროსიან — სპასკის მატჩის V პარტიაში მეტოქეებმა კარო-კანის დაცვა გაითამაშეს. ბრძოლა მეტად მწვავედ მიმდინარეობდა. შუა თამაშში სპასკიმ (თეთრებით) პაიკი მოიგო და მისი გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ჩემპიონმა რამდენიმე ზუსტი სვლით მდგომარეობა გაათანაბრა.

ამასთან, სპასკი პარტიის გადადების წინ უზუსტოდ თამაშობდა და თუმცა გადადებულ პოზიციაში პეტროსიანს პაიკი აკლია, მას კარგი კონტრშანსები აქვს.

### სპასკი — პეტროსიანი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. c4 მf6 5. მc3 g6 6. ლb3 კg7 7. cd 0—0 8. g3 მa6 9. კg2 ლb6 10. ლ:b6 ab 11. მge2 მb4 12. 0—0 ეd8 13. d6 ე:d6 14. კf4 ეd7 15. ეfd1 მbd5 16. კe5 კh6 17. a3 e6 18. მ:d5 მ:d5 19. ეd3 კg5 20. კ:d5 ed 21. h4 კd8 22. ეc1 ეe7 23. მf4 კe6 24. ეdc3 კd7 25. მ:d5 ეe6 26. კc7 მფg7 27. კ:d8 ე:d8 28. მe3 b5 29. d5 ეb6 30. მc2 h6 31. მb4 g5 32. hg hg 33. მფg2 ეf6 34. ეe3 ეh8 35. მd3 ეd6 36. მe5 კh3+ 37. მფf3 ე:d5 38. ეc7 კe6 39. ე:b7 ეc5 40. ეa7 კd5+ 41. მფg4. შავებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

### წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი

## ისევ 4:4

ხარკოვი, 20 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). რომ იტყვიან, ბედი არ წყალობსო, სწორედ ასე მოსდის თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდს. ჯერ იყო და პირველ მატჩში ლენინგრადის „სპარტაკთან" თბილისელები ისელიძისა და მინინოშვილის ტყორცნების შემდეგ II პერიოდის დასაწყისშივე დაწინაურდნენ — 2:0. მერე ლენინგრადელებმა იძალეს, ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ წინაც გავიდნენ, მაგრამ წიკლაურის უძლიერესმა ტყორცნამ წონასწორობა აღადგინა. შემდეგ გუნდებმა კიდევ თითო გოლი გაიტანეს. შეხვედრის დამთავრებამდე 30 წამით ადრე სანაძემ კარგად მოარტყა „სპარტაკის" მცველი, მაგრამ კარში ძლიერი ტყორცნის მაგიერ ბურთი თავზე გადაუგდო მეკარეს, რომელიც გაჭირვებით მიწვდა მას და აუტში მოიგერია. ასე დაიკარგა 1 ქულა.

მეორე შეხვედრა ჩვენებს მოსკოვის „ტორპედოსთან" ჰქონდათ. ანგარიში გახსნა ისელიძემ, მაგრამ კრუჭკოვმა პირველსავე პერიოდში გაქვითა გოლი. შესვენების მერე თბილისელებმა რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვეს და სხირტლაძემ გუნდი დააწინაურა, რასაც მოჰყვა მინინოშვილის მოულოდნელი ტყორცნა — 3:1.

2 ბურთის სხვაობა ბევრს ნიშნავდა, ამიტომ დინამოელები ადრე დამშვიდნენ, დაცვაში ყურადღება მოადუნეს და სათანადოდაც დაისაჯნენ. IV პერიოდში, როცა ანგარიში გათანაბრდა, თბილისელებმა მეტოქის კართან რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ამაოდ — 4:4.

ზ. ჯაფარიძე.

• • •

დღეს სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო" (ლვოვი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 6:5, მოსკოვის უნივერსიტეტი — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) 6:3, „დინამო" (მოსკოვი) — „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) 2:1, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (მოსკოვი) — „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) 6:3, „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 3:3.

## „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია გათავისუფლდა მწვრთნელის მოვალეობისგან და გადაყვანილ იქნა სხვა სამუშაოზე.

„დინამოს" გუნდის უფროსად დაინიშნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ავალიშვილი, ხოლო უფროსი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება დაეკისრა სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. კეკელიძეს.

მწვრთნელად დატოვებულია სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კილაძე.

## [illegible]

● ალმა-ათა, 19 აპრილი. თვითმფრინავზე გამობმული გვარლით მსოფლიოში პირველად მოახდინა ფრენა პარაშუტისტმა ქალმა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, 26 წლის ლ. მასიჩმა (ირკუტსკი) ყაზახეთის დედაქალაქში გამართულ დიდ სპორტულ ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის მომავალ XV ყრილობას. თვითმფრინავმა „ან—2"-მა, რომელსაც ნ. მასლოვი მართავდა, 70 მეტრის სიმაღლეზე გადაუფრინა ადგილობრივ იპოდრომს. მას 30-მეტრიანი გვარლით გამობმული ჰყავდა მამაცი სპორტსმენი. როცა თვითმფრინავმა ქალაქის თავზე წრე შემოხაზა და კვლავ იპოდრომზე გამოჩნდა, ქალიშვილმა ხელი უშვა გვარლს, გაშალა პარაშუტი და დაეშვა მწვანე მინდორზე.

● ჟენევა, 19 აპრილი. 500 კბ სმ კლასის მოტოციკლებით მსოფლიო ჩემპიონატის I ეტაპი გაიმართა შვეიცარიის ტრასაზე. გაიმარჯვა პ. ფრიდრიჰსმა (გდრ). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო — ი. გრიგორიევი მხოლოდ VII იყო.



## უკანასკნელ საათს

◆ ტაშკენტი, 20 აპრილი. უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ტრადიციული პრიზი მოიპოვა უკრაინის ჩოგბურთელთა ნაკრებმა, რომელშიც გამოდიოდნენ გ. ბაკშეევა, ვ. ტიტოვა, რ. სივოხინი და მ. მოზერი. II ადგილზე არიან ესტონელები, III — მასპინძლები, ხოლო IV — რსფსრ-ს სპორტსმენები. დღეს დაიწყო პირადი შეჯიბრებები.

## „ა" კლასი I ჯგუფი

ოდესა, 20 აპრილი. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის პირველობის მატჩი ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ როსტოვისა და ადგილობრივ არმიელთა კოლექტივები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

## იმედის სხივი

თბილისის სამდღიანი ვარსკვლავისებური ველორბოლის ბოლო 2 ეტაპი მონაწილეთა სერიოზულ გამოცდად მოგვევლინა. სპორტსმენთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად გაართვეს თავი ძნელ ამოცანას.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ეტაპი თბილისი—ბოლნისი—თბილისი. თავდაპირველად დაწინაურდნენ სპორტის ოსტატები ს. გრიშკევიჩი და ი. კრასავცევი. მალე მათ 5-კაციანი ჯგუფი შეუერთდა, რომელშიც იყვნენ ო. პროკოპენკო, ა. ჯღარკავა, ვ. სიდანოვი, ა. კოსტიუკი და შ. დაიაური. გავიდა მცირე ხანი და ლიდერებს კიდევ ერთი, ამჯერად 9-კაციანი ჯგუფი დაედევნა. სხვაობა მათ შორის ნელნელა შემცირდა და ბოლოს, მოწინავეებში მხოლოდ 4 კაცი დარჩა — გრიშკევიჩი, კრასავცევი, პროკოპენკო და ჯღარკავა. დანარჩენებმა ტემპს ვერ გაუძლეს და ჩამორჩნენ.

ფინიშამდე დარჩენილი იყო გრძელი, მომქანცველი აღმართი. აქ ძალებმა პირველად ჯღარკავას უმტყუნა, შემდეგ — პროკოპენკოს. კრასავცევმა და გრიშკევიჩმა კი ერთმანეთის მხარდამხარ დაძლიეს აღმართი და ფინიშთანაც ერთად მივიდნენ. გრიშკევიჩმა მხოლოდ რამდენიმე წამით დაასწრო მეტოქეს საკონტროლო ხაზის გადაკვეთა. ლიდერებმა 104 კილომეტრის გავლას 2 საათი და 52 წუთი მოანდომეს. III ადგილი დაიკავა ჯღარკავამ.

ბოლო ეტაპი (გორის მიმართულებით) ყველაზე უფრო გრძელი იყო — 120 კმ. სტარტიდან ველოსიპედისტებს ძლიერი ქარის დაძლევა მოუხდათ. გაბედულ, მაგრამ უნაყოფო ტაქტიკას მიმართეს სპორტის ოსტატებმა გ. ყაველაშვილმა და თ. აბდუშელიშვილმა: მთელი 50 კილომეტრი ისინი მეტოქეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს და ძლიერ პირქარს ებრძოდნენ. ზედ მოსახვევთან ლიდერებს დაეწია ჯგუფი და იმავ წამს წინ გაიჭრა სპორტის ოსტატი შ. დაიაური. დისტანციის მეორე ნახევარში ქარი მრბოლელთა მეგობრად მოგვევლინა, — იგი პირდაპირ ზურგში სცემდა მათ. რბოლის სისწრაფე ერთბაშად საათში 70-80 კილომეტრამდე გაიზარდა. დაიაურს დაედევნენ ვ. ფეტისოვი, ი. კრასავცევი და ვ. ხაჩატუროვი და რამდენიმე კილომეტრის შემდეგ დაეწიენ კიდეც.

...კვლავ ახალი ბიძგი, რომელსაც ამჯერად გ. საპლინმა მიმართა. ახალ ლიდერს მცირე ხნის შემდეგ ა. ლომიძეც შეუერთდა. ახალგაზრდა პირველთანრიგოსნები დიდხანს იდგნენ რბოლის სათავეში, მაგრამ მცხეთის აღმართზე ისინი მდევრებმა „ჩაკეტეს". შეიქმნა 10-კაციანი ჯგუფი, რომელიც რბოლის დანარჩენ მონაწილეებს წუთნახევრით უსწრებდა. ფინიშის ხაზი პირველმა რ. გუძმა გადაკვეთა. მომდევნო ადგილების ბედი კი ფოტოფინიშმა გადაწყვიტა. მსაჯთა კოლეგიამ II ადგილი მიაკუთვნა გ. ბატიაშვილს, ხოლო III — შ დაიაურს. მოწინავე ველოსიპედისტებმა 120 კილომეტრის გავლას 3 საათი, 16 წუთი და 10 წამი მოანდომეს.

3 ეტაპის ჯამში გაიმარჯვა ს. გრიშკევიჩმა („განთიადი") — 8:34.24. II ადგილზეა ი. კრასავცევი („დინამო") — 8:34.54, III — პირველთანრიგოსანი გ. ბატიაშვილი („შრომითი რეზერვები") — 8:35.41. მომდევნო ადგილები დაიკავეს ვ. ვასილევსკიმ (ასკ), რ. გუძმა („განთიადი") და ა. ჯღარკავამ („კოლმეურნე").

აღსანიშნავია, რომ გ. ბატიაშვილმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, ხოლო პირველთანრიგოსან ა. ჯღარკავას ოსტატობის ნორმამდე სულ 6 წამი დააკლდა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „დინამოს" ველოსიპედისტებმა.

თბილისის სამდღიანმა ველორბოლამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში განცდილი მწარე მარცხის შემდეგ (XVII ადგილი მრავალდღიან ველორბოლაში) რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, ფაქტიურად, დაიშალა. მომდევნო 2 წელი ჩვენი ველოსიპედისტებისათვის მძიმე გამოცდის ჟამი იყო. და აი, ბოლოსდაბოლოს, ახალგაზრდა ველოსიპედისტთა ერთმა ჯგუფმა მხარდი ოსტატობა და მაღალი საბრძოლო თვისებები გამოავლინა.

მ. ბარამია,
საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალგაზრდობისთვის განსაკუთრებით საჭიროა... ჯანსაღი სპორტი, ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსია..."

ვ. ი. ლენინი

## ლენინი ფიზიკური აღზრდის შესახებ

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფიზიკურ აღზრდას, როგორც მუშათა კლასის გაჯანსაღებისა და რევოლუციური ბრძოლისთვის პროლეტარიატის მრავალმხრივი მომზადების საუკეთესო საშუალებას კაპიტალიზმის პირობებში, როგორც კომუნისტური საზოგადოების პიროვნების ყოველმხრივი განვითარების განუყოფელ ნაწილს.

ვ. ი. ლენინი, რომელმაც შემოქმედებითად განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, ამბობდა, რომ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ჯანსაღი უნდა იყოს როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. „ახალგაზრდობისთვის, — ამბობდა იგი, — განსაკუთრებით საჭიროა ხალისიანობა და მხნეობა, ჯანსაღი სპორტი, ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსია, ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიში — სულიერი ინტერესების მრავალმხრივობა, სწავლა, გარჩევა, გამოკვლევა, და ყოველივე ეს შეძლებისდაგვარად ერთად".

თვით ვლადიმერ ილიას ძე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა ფიზიკურ ვარჯიშს და მიაჩნდა იგი მხნეობისა და ჯანმრთელობის წყაროდ. ლენინი არ სვამდა სპირტიან სასმელებს, არ წევდა თამბაქოს, საუცხოოდ ცურავდა, სრიალებდა ციგურებით, დაიოდა ველოსიპედით, უყვარდა ნადირობა და სუფთა ჰაერზე სეირნობა.

ციხეში ლენინი ყოველდღიურად ვარჯიშობდა. 1898 წლის 7 თებერვალს დედისადმი წერილში იგი ურჩევდა თავის ძმას, დიმიტრი ილიას ძეს, რომელიც იმ დროს დაპატიმრებული იყო, აუცილებლად ევარჯიშა და სთავაზობდა ციხის პირობებისთვის საკმაოდ მოხერხებულ „ტანვარჯიშულ ილეთს" — მიწამდე დახრას 50-ჯერ.

„მე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სწორედ ასეთ გაკვეთილს დავინიშნავდი ხოლმე და არ ვერიდებოდი, რომ ზედამხედველი, რომელიც დრო და დრო სარკმელში იჭვრიტებოდა, გაოცებული იყო, საიდან გაჩნდა ასეთი ღვთისმორწმუნე ის კაცი, რომელმაც ერთხელაც არ ისურვა წინასწარი პატიმრობის სახლის ეკლესიაში შესულიყო! ოლონდ არანაკლებ 50-ისა ზედიზედ და რომ ფეხების მოუხრელად. თვითეულ შემთხვევაში ხელით დასწვდეს ხოლმე იატაკს. სწორედ ასე მისწერეთ".

ვ. ი. ლენინი არც გადასახლებასა და ემიგრაციაში წყვეტდა ფიზიკურ ვარჯიშს, განსაკუთრებით, ცურვასა და ციგურებით სრიალს. 1898 წლის 15 ნოემბერს შუშენსკოედან დედისა და დისადმი გამოგზავნილ წერილში იგი იტყობინებოდა, რომ რაკი დაზამთრდა, ნადირობის ნაცვლად ციგურებით სრიალი დაიწყო. „გავიხსენე ძველი დრო და აღმოჩნდა, რომ არ დამვიწყებია, თუმცა, აგერ უკვე ათიოდე წელი იქნება, არ მიციგურავია".

ჯანმრთელობის პირველი სახალხო კომისარი ნ. სემაშკო თავის მოგონებაში „ლენინი და ფიზიკური კულტურა" წერდა: „ილიჩი სპორტსმენი არ იყო, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მაგრამ უყვარდა ფიზიკური ვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა — ველოსიპედით სიარული. ჟენევაში რომ ცხოვრობდა, ხშირად დავდიოდით ერთად სასეირნოდ, მას საკუთარი ველოსიპედი ჰქონდა...

ლენინი დიდი ფიზიკური ძალის ადამიანი იყო. სწორედ ამის წყალობით გადაურჩა ესერი ტერორისტი ქალის, კაპლანის ტყვიას. ექიმები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ მის მძლავრ ორგანიზმს შეეძლო გადაეტანა ეს სასიკვდილო ჭრილობა...

ილიჩი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ კულტურას და საოცრად უნარიანად ანაწილებდა სამუშაო დროს, როცა ავადმყოფობის გამო ექიმებმა მუშაობის ხანგრძლიობა განუსაზღვრეს.

კიდევ ერთი თვისება, რომელსაც უნდა წავბაძოთ: ილიჩი არც თვითონ ეწეოდა თამბაქოს და სხვებსაც უკრძალავდა სხდომების დროს მოწევას. იგი, სხვათა შორის, ინიციატორი იყო ჩემი აგიტაციისა თამბაქოს წევის წინააღმდეგ („თამბაქოს შხამის" წინააღმდეგ, — როგორც იგი ამბობდა). სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებზე მუდამ სუფთა ჰაერი უნდა ყოფილიყო. ვისაც მოთმენა არ შეეძლო, ნება ეძლეოდა თამბაქო მხოლოდ ღუმელს უკან მოეწია. ილიჩი მათ ხუმრობით „ღუმელის ხოჭოებს" ეძახდა".

ახალგაზრდობის კარგი ფიზიკური აღზრდა ლენინს მიაჩნდა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ, მისი უშუალო მითითებით ფიზკულტურა სავალდებულო სასწავლო საგნად შემოიღეს სკოლებში.

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ბავშვთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების მიმართ. მისი პირადი თაოსნობით სამოქალაქო ომის მძიმე წლებში შეიქმნა სკოლები, სადაც ფიზიკურად სუსტი ბავშვები დროის დიდ ნაწილს ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე ატარებდნენ და აქვე სწავლობდნენ. ბელადი ხშირად დადიოდა ამ სკოლებში და არაერთხელ აღუნიშნავს, სუფთა ჰაერი და ბუნების სილამაზე დადებით გავლენას ახდენს ბავშვის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ და ესთეტიკურ აღზრდაზეო.

1920 წლის ოქტომბერში კომკავშირის III ყრილობაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ლენინმა ნათლად გააშუქა კომუნისტური აღზრდის ამოცანები, რაც საფუძვლად დაედო კომკავშირის მუშაობას ყველა სფეროში, კერძოდ, ფიზკულტურის დარგშიც.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის ფართოდ გაშლას.

დღეს ჩვენში ყოველგვარი პირობაა შექმნილი ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად, რასაც სკოლის წლებშივე ეყრება საფუძველი.

შ. გოგიძე.



ვ. ი. ლენინი ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. ბრძნული თამაში მას აქტიური დასვენების საუცხოო საშუალებად მიაჩნდა. ამიტომ სიამოვნებით ეთამაშებოდა ნაცნობ-მეგობრებს და ზოგჯერ საკმაოდ კვალიფიციურ მოჭადრაკეებსაც.

სურათზე: ვ. ი. ლენინი თამაშობს ჭადრაკს კუნძულ კაპრიზე (იტალია) მაქსიმ გორკისთან სტუმრობისას.

## ამ დღეს მიეძღვნა

ავტო-მოტოტურისტული გადარბენის მონაწილეებმა 17 აპრილს დილიდანვე ლენინის მოედანზე მოვიყარეთ თავი. გაიმართა სახელდახელო მიტინგი. თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის ავტო-მოტოტურისტების ხელმძღვანელმა ლ. ლუდჩენკომ პატაკი ჩააბარა დოსაафის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს, პოლკოვნიკ ო. მუსერიძეს. გადარბენის მონაწილე 40-მა სპორტსმენმა მოტოციკლებით საპატიო წრე შემოუხაზეთ ლენინის ძეგლის გარშემო და 12 საათზე გეზი კახეთისკენ ავიღეთ.

წინ 350 კილომეტრზე მეტი გზა გვედო: საგარეჯო — გურჯაანი — თელავი — გომბორი — თბილისი.

პირველი შესვენება საგარეჯოში მოვაწყეთ. შეხვედრა, მისალმება, ყვავილები... შემდეგ გურჯაანში შევჩერდით. თელავამდე 10 კილომეტრში თელაველი ავტო-მოტოტურისტები შემოგვხვდნენ მანქანებით, მოტოციკლებითა და კარტინგებით. მასპინძლები წინ გაგვიძღვნენ და ქალაქში ისე შევედით. ერეკლეს მოედანზე მიტინგი მოეწყო. სიტყვებით გამოვიდნენ თელავის სპორტკავშირის თავმჯდომარე ვ. გაგნიძე, დოსააფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ხიზანიშვილი, გადარბენის კომანდორის მოადგილე პოლიტდარგში ი. ქრისტინაშვილი.

მიტინგის შემდეგ მასპინძლებმა პატარა ექსკურსია შემოგვთავაზეს. დავათვალიერეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ვიყავით წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, ვნახეთ ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. წინანდალშივე შეხვედრა მოგვიწყეს აწყურის (ახმეტის რაიონი) საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

ბანაკი შუამთაში დავცეით. დიდძალი ახალგაზრდობა დაგვხვდა, თელავიდანაც ბევრი ამოსულიყო. გაჩაღდა შეჯიბრებები სროლაში, ტურისტულ თამაშობებში. მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ყველას აჯობა გადარბენის მონაწილემ, თამბაქოს № 1 ფაბრიკის თანამშრომელმა გ. კასრელიშვილმა. გამარჯვებული საქართველოს ტურისტის სამკერდე ნიშნით დავაჯილდოვეთ. სროლა ტურისტულმა თამაშობებმა შეცვალა. პირველი გამარჯვება და ტურისტის სამკერდე ნიშანი თბილისის მექანიკური ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანს ვ. თოფურიას ხვდა წილად. შეჯიბრება მხიარული და საკმაოდ თავსატეხიც იყო: მოასპარეზეს ხელში კოვზი უჭირავს და გარბის... მთავარია, სირბილის დროს არ გადავარდეს ქვა, რომელიც კოვზში დევს. არანაკლებ სისხარტესა და მოხერხებას მოითხოვს მეორე თამაში, — შეჯიბრება წყლით სავსე ჭიქებით სირბილში. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც 30 მეტრს პირველი გაირბენს და წყალსაც ყველაზე ნაკლებს დაღვრის. აქ კი ყველას თამბაქოს № 1 ფაბრიკის თანამშრომელმა ა. მაჩაიძემ აჯობა.

მეორე დილით 6 საათზე ავიშალეთ. ჩავატარეთ სავანგებოდ მოტომძღოლთათვის განკუთვნილი ფიზდაჭურვა და...

... კვლავ შეხვედრები, საუბრები, უჯარმა, იორმუღანლო. გზა კი არც ისე ადვილად დასაძლევი იყო.

18 აპრილს, დანიშნულ დროს, დღის 5 საათზე თბილისში, ლენინის მოედანზე ვიყავით.

გადარბენაში მონაწილეობდნენ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი ავტო-მოტოტურისტული საუწყებო სექცია „მერცხალი", თამბაქოს № 1 ფაბრიკის დოსააფის პირველადი ორგანიზაცია და ავტო-მოტოტურისტული სექცია, თბილისის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეები.

ეს საინტერესო ლაშქრობა ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავს მიეძღვნა.

ვ. ნავროზაშვილი,
საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტოსექციის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი, გადარბენის კომანდორი.



სურათზე: ავტო-მოტოტურისტული გადარბენის მონაწილენი თელავში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან.

ფოტო ლ. ლუდჩენკოსი.

## ახალი ტალღა და

რა არის რინგი? სპორტული ბრძოლის საასპარეზო, თუ ორი ერთმანეთისადმი „მტრულად" განწყობილი ადამიანის თავისებური სამჯავრო? ჩვენი და უმრავლესობის აზრით, რინგი სარბიელია, სადაც წარმატებას განსაზღვრავს რაინდული თავდაჭერილობა, სისწრაფე, დახვეწილი ტექნიკა და საღი ტაქტიკური აზროვნება. ძალისმიერი კრივის მიმდევართა დღეები დათვლილია. კარგი რომ, დღითიდღეობით ისინი უმცირესობაში არიან.

სხვათა შორის, ჯანსაღი ტენდენცია აშკარად იგრძნობოდა საქართველოს ახლახან დამთავრებული პირადი პირველობის მონაწილეთა შორისაც. ჯერ კიდევ გამოუცდელი მოკრივეებიც კი, თავიანთი უფროსი კოლეგების მსგავსად, ყოველ ბრძოლაში საზრიანობის მომენტის ჩართვას ცდილობდნენ. თავისთავად უკვე ეს წინგადადგმული ნაბიჯია.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ. ჯ. კვანტალიანი და ვ. ცერცვაძე თანამედროვე, პროგრესული კრივის ტიპიური წარმომადგენლები არიან და გასაკვირი არ არის, რომ ამ ორი ოსტატის ბრძოლამ დამსწრეთ ბევრი სასიამოვნო წუთი განაცდევინა. კვანტალიანი და ცერცვაძე რინგის გარეთ მეგობრები არიან. ისინი მეგობრებად დარჩნენ სარბიელზეც, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებისთვის ორივე თავგამოდებით იბრძოდა. თანაბარ, მწვავე პაექრობაში ერთგვარი უპირატესობა კვანტალიანის მხარეს იყო, რომელმაც მოიხვეჭა კიდეც რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის დიპლომანტი ბედნიერი იყო ამ გამარჯვებით და გახარებულ მოკრივეს წარმატება ყველაზე ადრე ცერცვაძემ მიულოცა.

მაგრამ ერთსაც და მეორესაც, როგორც იტყვიან, ჰიპი აქვს მოჭრილი კრივში. ქუთაისელი რ. თოფურია კი მათ ანტიპოდს წარმოადგენს. და მაინც რინგის ეს „ახალბედაც" ცდილობდა ყველაფერში თავის ღირსეულ უფროს კოლეგებს დამსგავსებოდა. ფინალური ბრძოლა გ. ვარდანიანთან მართალია, მან წააგო, მაგრამ გამარჯვებულზე ნაკლები შთაბეჭდილება როდი დაუტოვებია.

სასიხარულო და მისასალმებელია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი ახალგაზრდა ათლეტი კრივის რთულ ხელოვნებას ერთადერთი სწორი გზით ეუფლება. ამაში „დამნაშავენი", პირველ ყოვლისა, ის მწვრთნელები არიან, რომლებმაც სხვებზე ადრე აუღეს ალღო კრივის ახალ ტალღას და ახალგაზრდობაც აიყოლიეს.

სიტყვამ მოიტანა და ამიტომ განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ იმ ენთუზიასტ მწვრთნელებზე, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან კრივის პოპულარიზაციის კეთილშობილურ საქმეს. აი, მაგალითად, ფოთელი მოკრივეების „სულიერი მამა" ი. თავაძე. მისი მოწაფეების ვ. უჩანეიშვილის, თ. ვერულაშვილისა და ა. შონიას გამოსვლები თბილისის რინგზე ნამდვილ სიურპრიზს წარმოადგენდა, უაღრესად სასიხარულო მოულოდნელობას.

ორიოდე წელია, რაც რუსთავში სერიოზულად დაინტერესდნენ კრივით. ხანმოკლე პერიოდში ქალაქმა ბევრი თანრიგოსანი მოკრივე მოამზადა. იცით, ვინ არის ამისი თავკაცი? პირველი ოსტატი მოკრივე საქართველოში ა. აღეტისოვი, რომელმაც ნებაყოფლობით იტვირთა ახალგაზრდა მოკრივეთა აღზრდა. ენთუზიასტს ამაგი დაუფასდა: მისი ორი მოწაფე პირველობის ფინალში გავიდა (ნ. პივოვაროვი და ნ. გარაბაჯი), ერთმა კი — გარაბაჯმა — ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ ქუთაისელი მოკრივეები (მწვრთნელები ი. მარქაროვი, გ. ცანავა, ხ. ვახტანგაძე). ტურნირისათვის ისინი კეთილსინდისიერად მოემზადნენ და ამიტომ ფიზიკურადაც კარგად გამოიყურებოდნენ და ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის მხრივაც.

რაც შეეხებათ ჩემპიონატის მასპინძლებს, ზოგიერთმა მათგანმა აშკარად გადააფასა თავისი უნარი, უპატივცემლოდ მოეკიდა მეტოქეს და დაისაჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი პრიზები

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში გარდა მთავარი პრიზისა, რომელიც გადაეცემა ოქროს მედლების მფლობელებს, დანიშნულია სხვა პრიზებიც: საუკეთესო სნაიპერი, საუკეთესო მეკარე, ყველაზე კორექტული გუნდი და ა. შ.

წლეულს დაწესებულია კიდევ 2 ახალი პრიზი. უკრაინულმა გაზეთმა „კომსომოლსკაია ზნამიამ" გადაწყვიტა შემოიღოს „აგრესიული სტუმრის პრიზი". იგი გადაეცემა გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს მეტოქეთა მინდვრებზე.

უკრაინულმა სპორტულმა ჟურნალმა „სტარტმა" დააწესა პრიზი კოლექტივისთვის, რომელსაც ექნება გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობა. ეს პრიზი არაა გარდამავალი და დანიშნულია „ა" კლასის ორივე ჯგუფის გუნდებისთვის.



# მატჩები თასზე დაიწყო

დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც ჩაებნენ „ბ" კლასის ოსტატთა გუნდები. 19 აპრილს ტყიბულის „მეშახტემ" თავის მინდორზე მიიღო გორის „დილა" და გაიმარჯვა—3:0.

23 აპრილს ტყიბულელები თასის მორიგ მატჩში გურჯაანში შეხვდებიან ადგილობრივ „ალაზანს". ამავე დღეს თამაშობენ: „დინამო" (სოხუმი) — „მეტალურგი" (რუსთავი), „ენგური" (ზუგდიდი) — „კოლხიდა" (ფოთი).

## გუშინ...

### თბილისში. ქუთაისში

**გაიმართა მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე დუბლიორთა გუნდებს შორის.**

**თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და ცსკა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.**

**ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და მოსკოვის „ლოკომოტივი". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.**

## საქართველოს პირველობაზე

განვლილი კვირის მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ჩოხატაურის „ბახმაროსა" და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის დამთავრდა არა ჩოხატაურელთა გამარჯვებით, როგორც ადრე იყო გამოქვეყნებული, არამედ სტუდენტთა მოგებით — 2:0. ბურთები გაიტანეს ჯანელიძემ და ცინცაძემ.

## საუბარი მიხეილ ბოტვინიკთან

# „...პირდაპირ მისანი ვარ"

— როგორც ვფიქრობდი, მატჩის სტარტი სწორედ ისე წარიმართა. პირდაპირ მისანი ვარ, — იცინის მ. ბოტვინიკი. — დებიუტის მხრივ პეტროსიანი რომ უკეთესად იქნებოდა მომზადებული, ამაში დარწმუნებული ვიყავი. დიდოსტატი ი. ბონდარევსკი საკმაოდ გამოცდილი მოჭადრაკეა, მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა დებიუტების სპეციალისტი. სამაგიეროდ, პეტროსიანის მწვრთნელი, დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი საქვეყნოდ აღიარებული „საჭადრაკო ენციკლოპედიაა". სწორედ ამიტომ მსოფლიო ჩემპიონი მატჩის სტარტზე ჯობს თავის ახალგაზრდა მეტოქეს „უვერტიურის შესრულებაში". გაიხსენეთ III პარტია. განა სპასკიმ და მისმა მწვრთნელმა არ იცოდნენ, რომ პეტროსიანი კარო-კანის დაცვას ითამაშებდა? მოემზადნენ კიდეც, მაგრამ... უკვე დებიუტში ჩემპიონმა საგრძნობლად უკეთესი პოზიცია მიიღო.

— მაგრამ ხომ ვერ მოიგო პეტროსიანმა ეს პარტია?

— ეს უკვე სხვა ამბავია. ცხადია, ახლა გვიანაა საგანგებო დებიუტების შესწავლა. ჩემი აზრით, სპასკის ამ ხარვეზის გამოსწორების მხოლოდ ერთი გზა დარჩენია — შუა თამაშში მეტოქეს თავს მოახვიოს მწვავე და რთული ბრძოლა. თუმცა არც ესაა იოლი, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონი გასაოცარი წინდახედულებით აქარწყლებს დაძაბულობას და ბრძოლა წყნარ კალაპოტში გადაყავს. მაგრამ ზოგჯერ, აი, თუნდაც, იმავე III პარტიაში, ხელიდან უვარდება „აღვირი" და სპასკის შესანიშნავი შანსები ეძლევა. ახლა, რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვერ მოიგო პეტროსიანმა II და III პარტიები.

— განა მას შეეძლო ორივე პარტიის მოგება?

— როგორ არა! პეტროსიანს ორივე პარტიაში გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. უფრო მეტიც: თითქმის პარტიის ბოლომდე ინარჩუნებდა ამ უპირატესობას, მაგრამ ცაიტნოტში ყველაფერი წყალში გადაყარა. ერთი რამ ვერ გამიგია: პირდაპირ მიკვირს, რატომ ვარდება პეტროსიანი ცაიტნოტში. მესმის, როცა კაცს უპირატესობა გაქვს, გინდა მისი რეალიზება და საამისოდ ბევრს ფიქრობ. მაგრამ ტიგრანი ხომ საერთოდ სწრაფად თამაშობს. ახლა კი, ალბათ, იგი მეტისმეტად ღელავს. მართლაც, ძნელი საქმეა ჩემპიონის ტიტულის დაცვა.

— სპასკის თამაშზე რას იტყვით?

— როგორც აღვნიშნე, სტარტზე ბრძოლა პეტროსიანის უპირატესობით წარიმართა და თუ მან ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო, ეს სპასკის დამსახურებაცაა. უარეს პოზიციაში ყაიმის მოპოვება გამარჯვების ტოლია. სპასკი ოსტატურად ართულებს თამაშს, ძნელ პრობლემებს უსახავს მრისხანე მეტოქეს, მაგრამ გამარჯვებისთვის მარტო ეს როდი კმარა. ჩემი აზრით, სტარტზე სპასკი ეგუებოდა პეტროსიანის სტილს, მისი თამაშის მანერას.

პეტროსიანის სტილი უჩვეულოა. მას თავისებურად ესმის საჭადრაკო ბრძოლა არასოდეს ჩქარობს. ყოველი სვლა ათასნაირად აქვს აწონილი და შეფასებული ამიტომ მასთან ყველას როდი შეუძლია თამაში.

— როგორი იქნება, თქვენი აზრით, მატჩის შემდგომი მსვლელობა?

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა კიდევ უფრო დაძაბული იქნება. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. მეტოქენი ახლა ერთმანეთს ეგუებიან. თუ პეტროსიანის მხრივ არაა მოსალოდნელი ბრძოლის გეზის შეცვლა (ჯერჯერობით მისთვის ეს არც არის საჭირო), სპასკი, ალბათ, შეეცდება მეტი გააფთრებით ითამაშოს მიტელშპილში.

— ზედიზედ 4 ყაიმის თაობაზე რას იტყვით?

— ადრეც, მაგალითად, ლასკერ — შლეხტერის (1910 წ.), ლასკერ — კაპაბლანკას (1921 წ.) და ბოტვინიკ — ბრონშტეინის მატჩებში პირველი 4 პარტია ყაიმით დასრულდა, რომელთაგან ზოგიერთი „დიდოსტატურიც" გახლდათ ეს არ ითქმის პეტროსიან—სპასკის მწვავე პარტიებზე. ასეთი ყაიმები ხატოვნად გადმოსცემენ მატჩის სუნთქვას და მეტოქეთა ფსიქოლოგიურ განწყობას.

ასე ვსაუბრობდით მ ბოტვინიკთან აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე რ. კაკიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. მერე მასპინძელმა თავისი ახალი „მერსედესით" ქალაქში გაგვასეირნა.

— აქ რამდენიმე დღე დავყო ეივემ,— განაგრძო საუბარი მ. ბოტვინიკმა. — იგი მხოლოდ პირველ პარტიას დაესწრო. მას შეხვედრა მოვუწყეთ „სსრ კავშირ — ნიდერლანდების" მეგობრობის საზოგადოებაში, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ. ეივე 65 წლისაა, მაგრამ საოცრად ახალგაზრდულად გამოიყურება.

— ხომ შეუძლია ტურნირებში თამაში?

— ო, რასაკვირველია! მაგრამ ახლა მთელ დროს საჭადრაკო მანქანის პროგრამირების დამუშავებას უთმობს. ამას წინათ ჩვენს საჭადრაკო ჟურნალში გამოქვეყნდა მისი თეორიული მოსაზრებანი ამ საკითხის გარშემო.

ამასობაში „მერსედესი" ესტრადის თეატრთან მისრიალდა. მაგრამ ჩვენი მასპინძელი მატჩზე არ შემოგვყვა. ბევრი სამუშაო მაქვს, პარტიებს შინ ვარჩევ, თანაც ჩემს პატარა შვილიშვილთან ვიქნებიო.

**თ. გიორგაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

## VII საქალაქო

გაიმართა თბილისის მასწავლებელთა VII სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. პროგრამაში იყო კალათბურთი (ვაჟები), ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი და სხვ.

ასპარეზობაში ჩაებნენ დედაქალაქის შვიდივე რაიონის ნაკრები გუნდები. ერთთვიანი ბრძოლის შემდეგ კვლავ ისახელეს თავი კიროვის რაიონის სპორტსმენებმა, რომლებმაც მანამდე სამჯერ ზედიზედ მოიპოვეს პირველობა და სამუდამოდ დაისაკუთრეს გარდამავალი თასი. კიროველებმა ახლაც ყველას აჯობეს. II ადგილი დაიკავა 26 კომისრის რაიონის, ხოლო III — კალინინის რაიონის მასწავლებელთა ნაკრებმა.

აღსანიშნავია, რომ კალინინის რაიონის გუნდი, რომელიც წინა სპარტაკიადაში ბოლო ადგილზე იყო, ახლა III საპრიზო ადგილზე გავიდა. ამაში მცირე ღვაწლი როდი მიუძღვის განათლების პროფკავშირის მუშაკთა რაიკომის თავმჯდომარეს ე. ფავლენიშვილს.

ცუდად გამოვიდნენ ორჯონიკიძის რაიონის სპორტსმენი-მასწავლებლები: ისინი ბოლო ადგილით დაკმაყოფილდნენ.

**ჰ. მეტრეველი,**
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

# ასპარეზობენ სტუდენტები

ქალაქის სტადიონებზე, სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში გრძელდება თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სპარტაკიადები.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაწინაურდნენ მექანიზაციის ფაკულტეტის წარმომადგენლები. მათ მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩებიან მომავალი აგრონომები. III ადგილზეა ეკონომიური ფაკულტეტი. მებაღე-მევენახეებმა პირველობა არავის დაუთმეს ფეხბურთსა და კალათბურთში. განსაკუთრებით მძაფრი იყო მებაღე-მევენახეობისა და მექანიზაციის ფაკულტეტების ვაჟთა გუნდების ფინალური შეხვედრა ხელბურთში. მომავალმა მებაღე-მევენახეებმა სულ მცირე უპირატესობით გაიმარჯვეს — 22:21. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ნ. მუშთარაული და ი. მაისურაძე

დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ორი ფაკულტეტის კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრამაც. არც გასაკვირია, — მებაღე-მევენახეებთან ხომ სპორტის ოსტატები ა. ლეჟავა და ლ. მოსეშვილი გამოდიოდნენ, მექანიზატორთა გუნდში კი ვ. უგრეხელიძე თამაშობდა. ზუსტი ტყორცნებით თავი გამოიჩინეს ა. ლეჟავამ (27 ქულა) და ლ. მოსეშვილმა (18), მაგრამ მომავალ მებაღე-მევენახეებს ამ ორი მოთამაშის დიდმა მონდომებამ ვერ უშველა და გამარჯვება მაინც მექანიზატორებს დარჩათ — 57:55 (35:31). კარგად ითამაშა გ. ნარიმანიძემ, რომელმაც გამარჯვებულთა გუნდს 16 ქულა შესძინა.

წინ არის საინტერესო შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში, ვაჟთა ფრენბურთში, წრიულ ესტაფეტაში... ძნელია წინასწარ ითქვას, ვინ დაისაკუთრებს გამარჯვებულის სახელს. ნათელია მხოლოდ ერთი: ჩემპიონები იქნებიან ან მექანიზაციის, ან აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტები. მათ საგრძნობლად ჩამოიტოვეს სპარტაკიადის დანარჩენი მონაწილენი.

უნივერსიტეტში შეჯიბრებები უკვე სპორტის ექვს სახეობაში ჩატარდა. გაირკვა ლიდერებიც. I ჯგუფში დაწინაურდნენ ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები — 37 ქულა. მათ გაიმარჯვეს მხატვრულ ტანვარჯიშში, ფარიკაობაში. მაგიდის ჩოგბურთსა და ქალთა ხელბურთში, II ადგილი დაიკავეს ცურვაში და III — ფეხბურთში. 10 ქულის განსხვავებით, II ადგილზე არიან ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც ცურვაში აჯობეს ყველას. III ადგილზეა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი — 20 ქულა.

უნივერსიტეტში ჩვენი რესპუბლიკის ბევრი საუკეთესო მოფარიკავე სწავლობს და გასაგებია, რომ მოფარიკავეთა შეჯიბრებებმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. საინტერესოდ ჩატარდა რაპირისტი ვაჟების შეხვედრები. სპორტის ოსტატმა თ. ზაუტაშვილმა მხოლოდ ჩხვლეტათა რიცხვით მიაღწია უპირატესობას და ჩემპიონობა გაინაღდა. პრიზიორები გახდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ასათიანი და სპორტის ოსტატი ი. აკოფოვი (იურიდიული ფაკულტეტი). სამაგიეროდ, ესპადრონისტთა შორის პირველობა არავის დაუთმო ნ. ასათიანმა. II და III ადგილებზე გავიდნენ სპორტის ოსტატები დ. შარაშენიძე (ეკონომიური ფაკულტეტი) და თ. ზაუტაშვილი. ქალებში ყველას აჯობა ეკონომიური ფაკულტეტის წარმომადგენელმა ნ. ჩახვაშვილმა.

II ჯგუფში რაპირით ფარიკაობაში გაიმარჯვეს სპორტის ოსტატებმა—ჯულიეტა გიორგაძემ (ბიოლოგიის ფაკულტეტი) და ა. გოგილიამ (ფილოლოგიის ფაკულტეტი), რომელიც ესპადრონშიც უძლიერესი იყო.

გუნდურ ჩათვლაში II ჯგუფში ლიდერობენ ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები — 35 ქულა. II ადგილზე არიან ფილოლოგები, III — ისტორიკოსები.

პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში თავდაპირველად ათ სახეობაში 1000 სტუდენტი ასპარეზობდა. ახლა კი, ფინალში, სპარტაკიადის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად 5 ფაკულტეტის 250-ზე მეტი უძლიერესი სპორტსმენი იბრძვის.

უკვე დამთავრდა შეჯიბრებები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შვიდ სახეობაში წინ არიან ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც გაიმარჯვეს ფარიკაობაში, ქალთა ტანვარჯიშსა და ფრენბურთში 3 პირველი ადგილი დაიკავეს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმაც, რომლებიც საერთო ჯამში მეორენი არიან. მათ ყველას აჯობეს ვაჟთა ფრენბურთსა და ხელბურთში და ქალთა კალათბურთში. III ადგილზე არიან ფილოლოგიის ფაკულტეტის სპორტსმენები, რომლებიც საუკეთესონი იყვნენ ქალთა ხელბურთში და ვაჟთა კალათბურთში.

**ფ. ლეონიძე.**

# ძველი პრეტენზიები

კიდევ. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის სპორტის ოსტატ ა. ხატოევზე, რომელსაც დამაჯერებლად მოუგო ნ. გარაბაჯმა. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ქვეყნის ჩემპიონზე მ. მამამთავრიშვილზე, რომლის გამარჯვება ფოთელ პირველთანრიგოსანთან ა. შონიასთან ბეწვზე ეკიდა (მარცხის მიუხედავად, შონია, გარაბაჯთან ერთად, რესპუბლიკის ნაკრებში შეიყვანეს).

მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს რესპუბლიკის ყველა ქალაქში კრივს სათანადო ყურადღებას აქცევდნენ. ჩვენ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს სოხუმის მიმართ. ამ ქალაქში კრივის სპეციალიზებული სკოლაც კი არსებობს, ამიტომ, ბუნებრივია, მისგან გაცილებით მეტს მოვითხოვთ, ვიდრე, ვთქვათ, ფოთისგან ან რუსთავისგან.

შარშან „ლელომ" კრივისადმი უყურადღებობის გამო მახარაძის სპორტკავშირი გააკრიტიკა. სპორტკავშირის თავმჯდომარემ ო. კიშინსკიმ მაშინ რედაქციას პასუხი გამოუგზავნა: კრიტიკას არ იზიარებდა. მას შემდეგ მოკრივეთა ბევრი შეჯიბრება მოეწყო და ბევრმა წყალმაც ჩაიარა, მაგრამ მახარაძელ მოკრივეებს კვლავინდებურად ვერ ვხვდებით რინგზე. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მახარაძელთა პოზიციებზე დგანან გორშიც, თუმცა ამ ქალაქსაც ჰყავს საკმაოდ კვალიფიციური კადრები და ტურნირებში მონაწილეობის ყველა საშუალება აქვს.

ჩატარებულ ჩემპიონატზე სრული შთაბეჭდილება რომ შევვექმნას, გვერდი არ უნდა ავუაროთ კიდევ ორ მომენტს. პირველი მათგანი ნეგატიური ხასიათისაა და სპორტული ბრძოლის ყველაზე საჭირბოროტო უბანს — მსაჯობას ეხება. განვლილმა ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა, რომ მსაჯობა ისევ და ისევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. არბიტრები ბევრს სცოდავენ, რის გამოც ზოგჯერ ირღვევა მოვლენათა ობიექტური მსვლელობა (ჩემპიონატის საუკეთესო მსაჯად ერთხმად იქნა აღიარებული ქუთაისელი ნ. თორთლაძე).

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა შეჯიბრების ორგანიზატორებზე. მოკრივეთა ტურნირების უმეტესი ნაწილი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში იმართება. დარბაზის ადმინისტრაცია მუდამ ხელს უწყობს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებას. ასე იყო ამჯერადაც. კრივის მოყვარულთა მრავალრიცხოვანი არმიის სახელით გულითად მადლობას ვუცხადებთ დარბაზის ადმინისტრაციას მზრუნველობისა და ყურადღებისთვის.

**ე. ქელბაქიანი,**
**ნ. გუგუშვილი.**

* * *

საქართველოს პირად პირველობაში მონაწილეობდნენ: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ახალციხისა და ცხინვალის მოკრივეები.

რესპუბლიკური ჩემპიონატის პარალელურად ჩატარდა 19-20 წლის ახალგაზრდა მოკრივეთა ტურნირი, რომელშიც წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. ხულაკაძემ (ქუთაისი), თ. ვერულაშვილმა (ფოთი), ვ. პობედინსკიმ (ბათუმი), ვ. უჩანეიშვილმა (ფოთი), თ. შალამბერიძემ (ქუთაისი), ა. მარტიროსიანმა, რ. მამედოვმა, ნ. კირთაძემ, ა. გოცულმა (ყველანი—თბილისი), ა. ვალიევმა (ცხინვალი). ტურნირის მონაწილეთათვის დაწესებული იყო 4 სპეციალური პრიზი, რომლებიც გადაეცათ: ვ. უჩანეიშვილს (ბ. მელაძის სახელობისა), თ. შალამბერიძეს (ფ. ლომიძის სახელობისა), ნ. კირთაძეს (გ. ტაბატაძის სახელობისა) და ა. გოცულს (ვ. რუდომიოტკინის სახელობისა).

საქართველოს ჩემპიონის წოდება წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: რ. რატიანმა, მ. ატოიანმა, გ. ვარდანიანმა, მ. მარქარიანმა (ყველანი — თბილისი), ჯ. კვანტალიანმა, ზ. მაჭავარიანმა (ორივენი — ქუთაისი), ნ. გარაბაჯიმ (რუსთავი), მ. მამამთავრიშვილმა, რ. აკოფოვმა (ორივენი — თბილისი) და ს. საყვარელიძემ (ქუთაისი).

# კვიცი გვარზე ხტის

კასპი, 20 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა სამბოში 1944-47 წლებში დაბადებულთათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, კასპისა და გარდაბნის მოჭიდავეები.

გუნდური პირველობა მოიპოვეს თბილისელმა სამბისტებმა (მწვრთნელი ბ მაზიაშვილი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გარდაბნისა და გორის წარმომადგენლები.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: თ. ხოსიტაშვილმა (გარდაბანი), გ. ბეინიშვილმა, ჯ. გუთნიაშვილმა (ორივენი — გორი), კ. ასლანიდიმ (თბილისი), ს. ქარქიშვილმა (გორი), ვ. იაშვილმა (კასპი), ა. ბეჟანიძემ, რ. ოდიშელიძემ (ორივენი — თბილისი).

ტურნირში მონაწილეობას რატომღაც თავი აარიდეს აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მცხეთის, თელავის, რუსთავისა და [illegible] რაიონის მოჭიდავეებმა, რამაც საგრძნობლად დასცა შეჯიბრების [illegible] ტერესი.

ორიოდე სიტყვა მსუბუქი წონის II პრიზიორზე, ახალგაზრდა სამბისტზე ე. ნინიაშვილზე, რომელმაც ამ შეჯიბრებაში ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა. ცნობილი სამბისტის, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ქ. ნინიაშვილის ვაჟმა ტურნირში 4 შეხვედრა წმინდად მოიგო და ძალიან უმნიშვნელოდ წააგო გამოცდილ ოსტატთან კ. ასლანიდისთან. საინტერესოა, რომ ჭაბუკ მოჭიდავეს ავარჯიშებს ბიძამისი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. ნინიაშვილი.



შესანიშნავი ფრანგი მოცურავე კრისტინ კარონი მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად ითვლება. მისი ამპლუა ზურგზე ცურვაა და სწორედ ამ სახეობაში მოიპოვა მან ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის წოდება. კარონი ბევრს მოგზაურობს. ამ სურათზე თქვენ ფრანგ ქალიშვილს დურბანის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) პლაჟზე ხედავთ. მას მხარს უმშვენებენ რიკშები ზულუს ტომიდან. კარონი დურბანში სავარჯიშოდ იყო ჩასული, მერე კი ცისფერ ბილიკებზე შეხვდა მასსავით სახელმოხვეჭილ მოცურავეებს — ე. ფეირლისა და კ. მიუირს, აგრეთვე ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ კ. ფერგიუსონს.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

# „სელტიკის" მარცხი




ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი შედგა ლივერპულში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდსა და გლაზგოს „სელტიკს" შორის.

პირველი მატჩი შოტლანდიელებს მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:0, მაგრამ მიმომხილველებს მიაჩნდათ, რომ ეს არ იქნებოდა საკმარისი საერთო გამარჯვების მისაღწევად. ასეც მოხდა. ლივერპულელებმა სმიტმა და სტრონგმა 2 „მშრალი" ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში და თავიანთ გუნდს მოუპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

გათამაშების ფინალი შედგება 5 მაისს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის" სტადიონზე. ერთმანეთს ხვდებიან „ლივერპული" და „ბორუსია" (გფრ).

ამ მარცხის გარდა „სელტიკს" კიდევ ერთი უსიამოვნება შეემთხვა. სამშაბათს „გლაზგო რეინჯერსმა" ეროვნული ჩემპიონატის მატჩი მოუგო „მადერუელს" და გაუთანაბრდა „სელტიკს" (51 ქულა).

(საქ. ინფ.).

## მასოპუსტი კვლავინდებურად თამაშობს

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის მორიგ ტურში პრაღის „სლავიამ" კოშიცეში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „ლოკომოტივთან" (0:0), მაგრამ ლიდერობა მაინც შეინარჩუნა.

პრაღის „სპარტასა" და „დუკლას" შეხვედრაში შესანიშნავად ითამაშა „დუკლას" ცნობილმა ნახევარმცველმა ი. მასოპუსტმა, რომელმაც პირველი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. „დუკლამ" გაიმარჯვა — 3:1.

საუკეთესო სნაიპერებია: მიხალიკი („ოსტრავა") და კადრაბა („სლავია") — 11-11 გოლი.

ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სლავია" (პრაღა) | 18 | 29:13 | 26 |
| „სპარტა" (პრაღა) | 18 | 35:22 | 23 |
| „ტრნავა" | 18 | 28:17 | 21 |
| „დუკლა" (პრაღა) | 18 | 28:20 | 21 |
| „ინტერნაციონალე" (ბრატისლავა) | 18 | 28:23 | 21 |

## თერთმეტი პრეტენდენტი

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ფეოლამ განაცხადა, რომ მას ნავარაუდევი აქვს თავისი გუნდის ასეთი ძირითადი შემადგენლობა მსოფლიოს ჩემპიონატზე: ჟილმარი, კარლოს ალბერტო, ბელინი, ორლანდო, რილდო, ზიტო, ჟერსონი, ჟაირზინიო, სერვილიო, პელე და პარანა.

ფეოლამ შენიშნა, რომ ცვლილებანი ძირითადად შეეხებათ გარემარბებს, თუ ფორმაში შევა გარინჩა და იტალიიდან ჩამოვა ამარილდო.

## ბ. გუტმანის გადადგომა

ლისაბონის „ბენფიკას" მწვრთნელს ბ. გუტმანს კლუბის ხელმძღვანელობამ წინადადება მისცა დატოვოს პოსტი. კლუბის მესვეურთა ეს ნაბიჯი გამოწვეულია „ბენფიკას" სენსაციური წაგებით (ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე) საკუთარ მინდორზე ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედთან" — 1:5.

გუტმანს, რომელმაც „ბენფიკა" მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად აქცია (მისი მწვრთნელობის დროს კლუბმა ორჯერ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი), უკვე შემცვლელიც გამოუნახეს. ესაა წარსულში ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი ფერნანდო კაბრიტო.

## მოწინავე საათი!

◆ ბოსტონი, 20 აპრილი. 70-ე „ბოსტონის მარათონი" პირველი აღმოჩნდა, რომლის სტარტზე სხვადასხვა ქვეყნის 524 მძლეოსანთან ერთად გამოვიდა... ქალი. 23 წლის რობერტა ბინგეიმ დისტანცია სადღაც, პირველი ასეულის ბოლოში დაამთავრა. ისევე როგორც შარშან, წლეულსაც გაიმარჯვეს იაპონელმა სტაიერებმა. ფინიშთან პირველი იყო კ კიმიხარა — 2:17.11,0. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. სასაკი, ტ. ტერაზავა და ხ. ოკაბე.

◆ ბრემენი, 20 აპრილი. გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ბუდაპეშტის გუნდი, რომელშიც უნგრეთის ნაკრების რამდენიმე წევრი თამაშობდა.

## ათლეტიკა. კვირეული. მსოფლიო...

▲ ბუდაპეშტი. ევროპის მძლეოსანთა მომავალი ჩემპიონატის მონაწილე წევრი ქვეყნების „ოჯახი" ახლა 29 ქვეყანას აერთიანებს. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა დააკმაყოფილოს თურქეთის დავეიანებული თხოვნა და მისი სპორტსმენები შეიყვანოს პირველობის მონაწილეთა რიცხვში. ბუდაპეშტში თურქეთის წარმომადგენლები იქნებიან 6 ვაჟი და 2 ქალი.

▲ ლონდონი. მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო რეკორდებად დაამტკიცა ავსტრალიელი რ. კლარკის მიღწევები, რომლებიც მან ოსლოს „ბიშლეტის" სტადიონზე დაამყარა 1965 წლის ივლისში — 10 000 მეტრზე (27.39,4) და 6 მილზე რბენაში (26.47,0).

▲ ნიუ-იორკი. ამერიკელ მძლეოსანთა „უიკ-ენდი" აღინიშნა რამდენიმე თვალსაჩინო მიღწევით. ქალაქ კოლეჯ-სტეიშნში (ტეხასის შტატი) მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეტსონმა საუკეთესო შედეგი აჩვენა წლეულს მსოფლიოში — ბირთვი კრა 20,08 მეტრზე. ცნობილმა ათლეტმა გაიმარჯვა აგრეთვე ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში — 58,37 მ. სტენფორდში (კალიფორნია) ჭოკით მხტომელმა, ახალგაზრდა მ. სავაჟმა დასძლია 510 სმ, ხოლო ბეიკერსფილდში რ. სივრენი გადახტა 503 სმ-ზე. ლოს-ანჟელოსში სიგრძეზე მხტომელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა ფინელმა რ. სტენიუსმა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლობს. მისი შედეგია 801 სმ.

▲ ოსიეკა. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ტ. სუკერმა ბირთვი კრა 18,57 მეტრზე. ეს იუგოსლავიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის რეკორდია.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ პომონის (კალიფორნია) ავტოდრომზე მომხდარ ტრაგედიას. რბოლის დროს რ. ე. დრეიკს არ დაემორჩილა საჭე, მანქანა გაიჭრა ბილიკიდან და მაყურებელთა ჯგუფს შეეჯახა. 3 კაცი იქვე დაიღუპა, ხოლო 12 მძიმედ დაიჭრა. თვით მძღოლი კი მსუბუქად დაშავდა.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.



რედაქტორი მ. პაპაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცხოვრება

ფეხბურთი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამოს" სტადიონი. დღეს — „დინამო" (თბილისი) — ცსკა. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 22 აპრილი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (ტალინი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 30 წ.

სპორტული ტანვარჯიში. ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). 21 აპრილი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებებს შორის. დასაწყისი 18 ს.

ფინალური შეჯიბრებები საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის. 22 აპრილს — ვაჟები, 23 აპრილს — ქალები. დასაწყისი 18 ს.

25 აპრილს

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება თბილისის სპორტკავშირის IV კონფერენცია.

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, 11 საათიდან.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 05916